საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2025 სექტემბერი

03.10.2025
www.geostat.ge

03.10.2025

ინფლაცია საქართველოში, 2025 წლის სექტემბერი

2025 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას[1], აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2025 წლის სექტემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის[2] მაჩვენებელი 2.1 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით	%	ჯგუფების წვლილი* 2025 წლის სექტემბრის ინფლაციაში (სულ 0.5% პროცენტი)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.4	0.44
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	-0.6	-0.04
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.2	0.19
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	-0.1	0.00
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-2.2	-0.11
ჯანმრთელობის დაცვა	0.1	0.01
ტრანსპორტი	-0.2	-0.02
კავშირგაბმულობა	-4.7	-0.15
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.3	-0.01
განათლება	2.6	0.15
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.7	0.03
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	-0.7	-0.04
ინფლაციის დონე, სულ	**0.5**	



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

[1] **საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

[2] **თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.44 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნულ პერიოდში ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (3.4 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (2.4 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (2.3 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1.6 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (1.4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (1.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (0.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (-0.7 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (-0.3 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.2 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.19 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც ტანსაცმლის (4.9 პროცენტი), ისე ფეხსაცმლის (2.9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

განათლება: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.6 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში 0.15 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაზრდილია ქვეჯგუფებზე: სკოლამდელი და დაწყებითი განათლება (10.4 პროცენტი), დონით განუსაზღვრელი განათლება (8.2 პროცენტი), საშუალო განათლება (3.5 პროცენტი) და უმაღლესი განათლება (0.6 პროცენტი);

კავშირგაბმულობა: ჯგუფში ფასები შემცირებულია 4.7 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.15 პროცენტული პუნქტით აისახა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2025 წლის სექტემბრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 11.9 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.89 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (25.0 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (19.5 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (16.4 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (15.1 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (12.8 პროცენტი), თევზეული (11.3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (11.3 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (10.2 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (8.7 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.1 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 9.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.76 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა საავადმყოფოების მომსახურების (9.4 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (9.2 პროცენტი) და სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის (8.1 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.26 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (6.0 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (2.4 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები შემცირდა 2.1 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0.26 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-3.2 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (-0.9 პროცენტი). ამასთან, ფასები გაზრდილია სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (0.7 პროცენტი).

ყოველთვიური ინფლაცია



03.10.2025

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



წლიური ინფლაცია პროდუქტების წარმოშობის მიხედვით

(%)



წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია,
(პროცენტული პუნქტი)



- სხვა საქონელი და მომსახურება
- საცხოვრებელი და მასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება
- ტრანსპორტი
- სურსათი, სასმელები, თამბაქო
- ჯანდაცვა
- ჯამური ინფლაცია

საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)
E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge